საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 25 მაისის

დადგენილება №2015

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ახალშექმნილი ფაკულტეტების ხელმძღვანელების
დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის r^1 ქვეპუნტის, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2013 წლის 13 მაისის საბჭოს №12 სხდომის გადაწყვეტილებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №1987 დადგენილების საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ სამ ახალ ფაკულტეტზე დაინიშნონ ფაკულტეტის ხელმძღვანელები:

   1.1 „სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი“ – ირაკლი გაბისონია;

   1.2. „საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი“ – ეკატერინე შაკიაშვილი;

   1.3. „ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი“ – გუგული ყურაშვილი;

2. ფაკულტეტის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1560 ლარის ოდენობით;
3. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე